


# ნიშადურნი



„ნიშადურნი“ მიიღება ხელის მოწერა:

ერთი წლით გაგზავნით . . . . .	5 ზან.
ნახევარი წლით . . . . .	3 „
ცალკე ნომერი . . . . .	10 კპ.



ვინც ერთი წლით „ნიშადურს“ გაიწერს, ყველას უფასოდ გაეგზავნებათ „ნიშადურის კრებული“ დაზარათვე ყველა ძველი №№-იც რედ.-გამ. ვ. გუნია.

№ 26.


ყოველკვირეული ჟურნალი

№ 26.

პორტუგალიის ამბები




დედოფალი ამალია.



მეფე კარლოსი.



მეფე ლუი.



მეფე მანუელი.

ამ წლის 20 იანვარს პორტუგალიაში, სატახტო ქალაქს ლისაბონში შეთქმულებმა ქუჩაში დახვრიტეს ეტლით მიმავალი მეფე კარლოსი, მისი მემკვიდრე ლუი ფილიპე, ხოლო მეორე შვილი მანუელი მძიმედ დასჭრეს, დედოფალი ამალია უვნებლად გადაჩა. ამ ჟამად ტახტის მემკვიდრეთ და მეფედ აღიარებულია 11 წლის მანუელი.


### სასიხმელო

ბედო ტიალაფ, ნულარა გეტანჯავ  
გვეყოფა, კმარა;  
დიდია ცრემლი შენ ულმობლობამ  
რაიც დაღვარა.  
ფაფარ აყრილსა და აშფოთებულს  
ხედავ ამ ზღვასა,  
შურისძიებით ცეცხლებერ აღგზნებულს,  
ბრძოლისთვის მზასა?!  
ეს ზღვაა, ზღვა ტანჯულთ ცრემლების —  
ღელავს მედგრათა

სიმართლის მშველად, — უკულმართობის  
წასალეკადა.  
და აჰა, აი მალე იფეთქებს,  
გადმოიღვრება;  
შენს დასადრჩობათ ბარმიდამოებს  
მოედინება.  
მაშინ გაიგებ, ბედო მტარვალო,  
რომ ჩაგრულთ ცრემლი  
შენს მტარვლობაზე, წყეულო, მყარალო,  
არს მწვავე, ცხელი!

ი. მჭედლიშვილი.





### სოციალ-დემოკრატიკა სოფლად

(შემდეგი)

#### III

ქვემოთ მოყვანილი ორი ფაქტი უკანასკნელ ხანებში მოხდა და ადგილობრივ გაზეთებშია იყო აღნიშნული, მაგრამ წერილი იყო მოკლე და ბუნდოვანად. სოფელ ბ-ში ერთმა თავადმა ა—შვილმა პოლიციის სპეცდებოთ თავის მოძალე გლეხებს დალა გადასხდევინა. ერთ დამეს ამ თავადიშვილს მიეჭრნენ სახლში რაზმელები, რიცხვით თერთმეტი კაცი, რომელთა შორის სპეცდებოთ თუ ოთხი ადგილობრივი მცხოვრები გლეხიც კრია.

თავადი იმ დამეს სხვაგან იყო. სახლში იუფნენ ცოლი, რამდენიმე ქორთა შვილით და მოსამსახურე გოგო. თავზარდაცემული ცოლი სახლის სახურავში აიჭრა და გოგოსა და შვილებს შეეხვეწა, არ გაემხილათ იგი. რაზმელებმა შეანგრიეს კარები, შეგვიფდნენ სახლში და დაუწყეს ტყეპა ბავშვებს: სთქვით სად აიან თქვენი დედამა. ბავშვებმა ტყეპს ვეღარ გაუძღეს და ასწავლეს, სად იმლებოდა მათი დედა. რამდენიმე კაცი აიჭრა სახლის სახურავში და ჩამოათრივეს ძირს საბრძოლო ქალი. შემდეგ რაც მოხდა, ქვეყნიერების გახეხის პირველ დღიდან ადამიანის მიერ ჩანადენ ყოველ ბოროტ მოქმედებას აღმეტყუბა. ბავშვების თვალწინ თორმეტმა კაცმა უსიერად გააუბრატიურა დედა და შემდეგ გულ შეწუსებულს, დონე მინდილ ქაღს საშობი მიწით გამოუტყნა. აგრძენენ მიწას და თათვის ლულებით სტენდნენ!.. ამ საზიზღარ საქმედე არ მისულა ესზანიის არც ერთი ინკვიზიტორი.

საბრძოლო ქალი დაავადებულა და ჭკუასე შესცდა. ჭკუასე შესცდა აგრეთვე მოსამსახურე გოგო, რომელიც თავიდან ბოლომდე ამ ენით აუწყრელ საზიზღარს სცუნას თავლით უყურებდა.

ბორჯომის ხეობაში, სოფელ ყ-სში ორი რაზმელი სადამო ხანს მივიდა ერთ გლეხის ოჯახში. გლეხს თუმცა არ ესამოყნა „თავისუფლებისთვის მებრძოლ“ ხალხის სტუმრობა, მაგრამ მანინ სახლის პატრონის მოვალეობა კარკათ შეასრულა, მხიარულად მიიღო, მოიკითხა და თავის დროსე მშვენიერი ვახშამიც მიართვა. ეს ამბავი იმ დროს იყო, როდესაც რეაქცია ძლიერდებოდა და გლეხმა კარკად იტოდა, რომ თუ ვინმე მთავრობასთან დაბეზდებდა, მეორე დღესე ცინე და ოჯახის აკლებს მოკლდა. სტუმრებმა მიიერთვეს ვახშამი, ოდნავ შესარხმდნენ და... დასახლისთან დამის გატარება მოისურვეს. ამასე ადგილი რადა იყო. თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულ რაზმელებს როგორ გადაუდებოდა წინ უიარდა, დევნილი, ჩაგრული გლეხი. მოკვლას დაემუქნენ, კარში გამოაგდეს და კარები ჩაუკეტეს...

მეორე დღეს გამწარებულმა ქმარმა რამდენიმე მეზობლის დახმარებით კეტებით მობეკვეს ორივე რაზმი

და მკვდრები სოფელს გარეთ გადაყარეს. გლეხის მოთმინებას სახლგარე მტრების მოსვლა გორისევე მახრში, სოფელ ქ-ში ქვრივ ქაღს ეწვია ორი შეიარაღებული რაზმელი. აქაც მარტოხელა ქაღმა, რითაც კი შეეძლო, პატივი სცა სტუმრებს და ვახშამი მოუმზადა. სანამ ვახშამდ დასდებოდნენ, ერთმა რაზმელმა გამოჰკითხა დასახლის ერთი მეზობელი ქაღის ამბავი და, რა გაიგო, რომ ქაღი სახლშია, ქმარი კი სხვაგანა წასული, ამხანავს წასურხულა: მე იქ წავაღ, შენ აქ დარჩი.

ვახშამის შემდეგ (როგორც ხედავთ ეს ვაყბატონები, როგორც „ნამდვილი სოც.-დემოკრატნი“ უველგან კუჭს უზინატესობას აძლევენ. ჯერ კუჭს დაიკომოფილებენ, სხვა ინსტიტუტებს კი შემდეგ! ვახშამის შემდეგ დაჩენილმა სტუმარმა ქაღს თავისებური არშეიგობა დაუწყო და რამდენიმე კომპლიმენტი უთხრა პირის კანის სითეთრისა, ტანის სიმსუქნესე და მის მომხიბვლელობასე. ქაღი მიხვდა, რაშიც იყო საქმე და გაქცევა დაპარა, მაგრამ სტუმარმა კაბაში სტაცა ხელი და არ გაუშვა. დაიწყო საზარელი ბრძოლა გამხეცებულ, გაველებულ ვაყსა და შიშით მოცულ, გამწარებულ ქაღის შორის. წივილ-კივილსა და ხმაურობასე ოთახში შემოყარდა ქაღის 10—12 წლის ვაყი-შვილი, რომელიც მიხვდა, რაშია იყო საქმე და გამხეცებულ რაზმელს დაუხრქა:

— შენი ჭირიმე, ტ—ე (სახელის რაზმელის) ხემ დედას ნუ...! სხვა ქაღს გომოყნი, დმერთმანი გომოყნი!—ემუდარებოდა ბავშვი და შეშინებულ სახესე დაზალუბით ცრემლი გადმოსდიოდა.

მხეცი ოდნავ გამოფხიზლდა და ქაღს ხელი შეუშვა. დედა და შვილი გავარდნენ კარში და მეზობლებს შეათვრეს თავი. სტუმარმა კი მშვიდობიანათ კატარა დამე ცარიელ ოთახში, დილით აისხა იარაღი და წავიდა „გაჭირვებულსა და დაბეზვებულ ხალხის სამეკლად და სასხელად“.

სოფელ ქ-ში ერთი გლეხი სოფელსე კარკად მოშორებით სდგას. ამ გლეხს ღამაში ემწვილი ცოლი ჭებვდა, რომელსედაც რაზმელებს დიდხანაი თვალი ეჭირათ. ერთ დამეს მიუცვიფდნენ სახლში ათამდე კაცი, ქმარს სცემეს, სახლიდან გამოაგდეს და ქაღი გააუბრატიურეს. ქაღი დილით მკვდარი ნახეს.

რეაქციის გამარჯვების შემდეგ, როგორც მკითხველებმა იციან, პრეზიდენტები, რაზმელები და მთავრობის თვალში საეჭვოდ ცნობილი ზოგიერთი პირები ტყეებში გაიხიზნენ. უველამ კარკათ იცის, რამდენი ვნებს მიყენეს ამ ვაყბატონებმა სოფლებს. პოლიციის სოფლებში ეკვერეციის აყენებდა, ახდევინებდა ჯარისკაცებს, ატუსაღებდა და უმოწყლოდ სცემდა სოფლებს, რათა ეთქვივინებანათ მათთვის, სად იმლებოდნენ რაზმელები და სხვა მათ თვალში საეჭვო პირები და მათ დაჭერაში სოფლები დახმარებოდნენ. სოფლებს





გაჭირვების სამსჯავრო ან ჰქონდა. ორ-ბირად სძვრებოდა ხალხს ტყავი და ცემითა და შიშით გაჭყრებულნი დიერთს მხრდოდ სიკვდილს-და სთხოვდნენ, მაგრამ ქართულ გლეხში ხატისნება და საქმის სიყვარული ბევრად მეტი მოიხატება, ვიდრე იმ ვაჟბატონებში, რომლებიც მათ სათავეში უდგნენ და დანიშნულს აძლეოდნენ, მაგალითი არ ყოფილა, რომ რომელიმე სოფელს, რომელიმე გლეხს გაეთქვა რაზემელი ან პრინციპის დისტი და მათი ბინა ესწავლებინა. სამთრის თვეებში თხოვს და ეინვა“ იმეთეს სოფელს ქალსა და კაცს, დღესა და ხატანს ზოლიცა მათრისითა და თოფით ჩაყენებდა წყლადის წყალში და ეტოვდა: არ ამოგიშვებთ წელიდან, ვიდრე არ იტყვიოთ, სად იმალებიან რაზემელები და პრინციპისნებისა; მაგრამ სოფელელები სათბობით იდგნენ წყალში, ცივდებოდნენ, კვდებოდნენ და არ ეუბნებოდნენ სად ავირებდნენ თავს „მათი მეგობრები“, როგორც ეს მათ დღემდის ეგონათ. ეს ვაჟ-კაცობა, ეს თავ კანწირობა და საქმის სიყვარული კიდევ შორს მიდიდა. ტყეებში გახიზნულს „ერთობის ხალხს“, რომელთა რიცხვი ბირველ სანებში რამდენიმე ას კაცამდე აღიზდა რამდენიმე თვის განმავლობაში ჰკვებოდა და ატყვასხურავდა. რაც უნდა შემოეთვალათ გახიზნულებს სოფლისთვის, სოფელი დაუფრებლად ასრულებდა მათ მოთხოვნილებას. აჭიდებდნენ ცხენებს სხვა და სხვა სანავაგეს, ზურსა და ღვინოს და ეხიდებოდნენ ტყეებში. მგონი რომ ხალხისგან მეტის მოთხოვნა შეუძლებელია! მაგრამ „ხალხისთვის დატანჯულმა და დაზარალებულმა“ „განმათავისუფლებელ მოძრაობის მეთაურებმა“ ეს არ იკმარეს... კარგათ მოგესხენებოთ, რომ უსაქმოდ შეიფიცდებიან ბევრი ძილისა და ჭამის შემდეგ სხეულში სხვაზე მეტად ედვიძება სქესობრივი ინსტიქტი. გახიზნულმა მოსურვეს ტყეში... ქალები და მოსწერეს სოფელს დახლოებით შემდეგი შინაარსის წერილი: ჩვენ თქვენთვის თავდადებულნი ვართ, თქვენი გულისთვის ვებრძვიდით მთავრობას, დღეს თქვენზე გულისთვის ნადირით ვიმალებით ტყეში. ჭამას-სამა თქვენგან არ გვაკლავს, რაზედაც დიდი მადლობელი ვართ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენც ადამიანები ვართ და ადამიანის ყველა მოთხოვნილება გვაქვს, ამიტომ... რამდენიმე ქალი გამოგვიგზავნეთ აქ ტყეში. ეს წერილი ხელმოწერილია რამდენიმე ქართული ცნობილ რაზემელისა და პრინციპისნების მიერ და ზედ გორის სოფ. აღემ. ორგანიზაციის ბეჭედი აზის.

(შემდეგი იქმნება)

**ხეობელი.**

„ალაპისტავის“ თაობაზე

ჩემს ვინაობას უარს ვყოფ, ამას მოითხოვს „ეთიკა“, ყმად გავუხდები ბურჟუებს, რომ ცხად ვყო დიალექტიკა. განსაწმედელში რომ შევალ, სამოთხის ღირსი გავხდები: „ტეზა-ანტიტეზ-სინტეზა“ თავზე ვერ გადავახტები!.. რის ერი? რისი სიმშობლო? სამშობლო ჩემი კუჭია! სხვა ყოველივე ამ ქვეყნად სულ ამა და ფუჭია!.. ქართველი პროლეტარებთან ყოველთვის გადამბულია: გრძობას ეროვნულს თავითვე და დღესაც მოკლებულია! \*) არა მწამს კუჭის გარეშე სხვა გვარი იდეალები, მხსნელად მყავს მარქსი-ენგელსი, მათ სახელს ვენაცვალები!.. ბეზელს ვემონვი მარადის, კაუტკის ვეთაყვანები, მათ მიერ შექმნილ დოღმატებს ხელი-ხელ ვეგოგმანები. ნების ნაპირებს ვეწვევი— აქაც მყავს სულის სწორები: პლენანოვ-ლენინ-მარტოვის ფერხთა-მტვერს ვეამბორები!.. ნოე კილობნელს თაყვანს ვცემ, ნიკუშას, ფილოს ერთადა, „სამხრეთ რუსეთში“ ესენი მყვანან ხატად და ღმერთადა. დღეში კარლო ქუხს და სკეკს: „ძირს ხალხთა ავტონომია“! კანონმდებლობა ერისა— ეს იმერული ღომია!.. ეშმაკიც ძაან ნავარდობს... — ნაშობი ჯოჯოხეთისა „ყოლაავს და ყოლაავს“ \*) მარადის, მსგავსად „კუდინის“ წვეთისა!.. ლანძღვა-გინების სტვირითა პარტიას ემსახურება... — დათვურ სამსახურს კი უწევს,

\*) იხ. „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“, გაზ. „კისკისი“ მეთაურები, №№ 9, 10, 11...  
 \*\*) იხ. ბ. ეშმაკო, საბას ლექსიკონი და ჩხრიკეთ მსგავსი ტერმინები თქვენის „პოეზიის“ შესამოკლად. კ. ბ.



თუ არვინ დამემდურება!..

სხვაც ბევრი გვყვანან ნაქები  
გაწვრთნილი პუბლიცისტები...

— ცხვირს იქით არას ხედავენ,  
თვალთ გადაკვრიათ ბისტები!..

გამოჩენილი პოეტნი,  
ისტორიკ-კრიტიკოსები..,

— ყნოსვა-დაკარგულ მარქსისა  
ცხვირს სურდო-მინაკოსები!..

შრომობთ... არა ხნავთ, არ თესავთ,  
უხვად კი სთიბავთ ცელითა!..

მთასა და ბარსა აყრუებთ

თქვენ თქვენის ღრიანცელითა!..

ჭ. ბარელი.



სევდა — ჯუზეპეს ქანდაკება.

### ბნელეთი

(ლექსი პროზათ)

ირგვლივ ბნელოდა. . წყვილი იყო გულ-  
მოსაკლავი... შავი ღრუბლები, ვითა კუპრი, მძი-  
ნარს ქვეყანას ზედ დადებოდა... სრულათ ბუნებას  
მისძინებოდა... და როს ძალები ბნელეთისანი  
გრძნობდენ სამყაროს ასეთს დაძაბუნებას, მათ მო-  
ემარჯვათ, შეესხათ ფრთები და ავ-საქმენით აევ-  
სოთ მდელი, ავესოთ მთები... არაკაცობა ქვეყნად  
გამეფდა, აღარ ინდობდა ძმა ღვიძლსა ძმასა, საფ-  
ლავს უთხრიდა მეგობარი თავის მეგობარს, შვილი  
— მამასა. და ძალა ბნელი, ოდეს ხედავდა ამ სა-

ძაგლობას, ღვიძლისაგან ღვიძლის ვანწირვას და  
არ დანდობას, განზე გამდგარი ხარხარობდა. მის  
ახარებდა ეს საერთო ალიაქოთი, მოძებნა...  
დაულეველი ომი და შფოთი...

შორს სადღაც, ამ უკუნეთის იქითა მხრიდან,  
ხან დასმით, შევლრუბლებ შორის, სხივი მკრთალი,  
სხივი მბჟუტავი გამოკრთებოდა, ცდილობდა ივი,  
რომ გაეპო შავი ზეწარი...

ხოლო...

ღრუბლები თვალთ უმაღლეს შეჯგუფდებოდა  
და ძლიერებით სინათლეს წინ ელობებოდა. .

და ვინ უწყს—რამდენი საუკუნეა, კვლავ  
ბნელეთი, კვლავ უკუნია?!...

როს, ო, როს დასძლევს სხივი ამ ბნელსა და  
სამყაროს მიშვეებულსა, მკვდარსა ბუნებას, გამოა-  
ფხიზლებს, აღადგენს ძილით, მოფენს ნათელსა?..

თომა პუსა.

## ქ უ რ ა


(სომხურიდან.)

პაპაზიანისა.

ჩემს მეგობარს უყვარს კარგი ცხოვრება და  
მშვენიერი სადგომი სახლი აქვს ქალაქის საუკეთეს-  
სო ნაწილში. ყველაზე კარგი კუთხე ამ სახლისა  
არის ის მხარე, რომელზედაც მიშენებული აქვს  
აივანი და იყურება გზატკეცილისაკენ. აქედან  
მოსჩანს მდინარე, ბაღები, მთები და კოშკი, მხო-  
ლოდ პირდაპირ მედიდური სახლები, ადგილობრივ  
მდიდრების საკუთრება.

ერთხელ შუადღისას სადილის ლოდინში მე  
გამოველ აივანზე, ავწიე ფარდები, იქვე მდგომ  
სავარძელში რბილად მოვთავსდი და დავიწყე წიგ-  
ნის კითხვა. თუმცა ვკითხულობდი, მაგრამ არა  
მესმოდა რა. ტვინი არა მუშაობდა, გონება ვერ  
შემომეკრიფა, ყოველ სტრიქონის წაკითხვის შემ-  
დეგ თვალები რაღაც სხვა საგანზე მრჩებოდა. მე  
ვიყურებოდი ძირს გზა ტკეცილზე, სადაც მუშები  
აქტურედნენ ქვას. ესენი იყვნენ: ორი სპარსელი,  
აღზად თავრიზიდან, ანუ ხოიდან. თავებზე მათ  
ეხურათ რგვალი თექანაბადის ქუდები. მათი ლურჯ  
ტილოს დაძველებული და გახუნებული ახალოები  
აღაგ-აღაგ დაჯღანებული იყო სხვა და სხვა ფე-  
რის ძონძებით. მათი თეთრი, ქუქკიანი ნიფხვები,  
რომლებიც დიდი ხანია გადაგდების ღირსნი შექ-  
მნილან, მაგრამ მათ „დამზოგავ“ პატრონებს,  
ეს გარემოება ფიქრადაც არ მოსვლიათ: ისინი  
ხომ მუდამ ქვებზე უნდა ისხდნენ. მათი ქალამენ-  
ბი დაკერებულია სქელი ტყავის ნაქრებით, რადგა-





სასიხარულო ამბები — კობის ნახატი.

ნაც მათაც ქვებთან ჰქონდათ საქმე. ფეხ გაშვრილნი ისხდნენ მიწაზე, იდებდნენ ქვას ფეხებ შუა, ქუსლებით იმაგრებდნენ და ისე ამტვრევდნენ ჩაქუჩით, დამტვრეულ ქვას ფეხებითვე ჰყრიდნენ განზე. აი ეს იყო მათი სამუშაო. მზე საშინლად აცხუნებდა მათ ზურგებს. უნდა ვიფიქროდ, რომ ყოველთვის ასე ისხდნენ, რადგანაც კისრები საშინლათ გაშვებოდათ. სახე დასკმუჭნოდათ, თვალეზში სისხლი მორეოდათ, ყბები ატკრეცილი, ხელეზი გაშვებული, მტვრიანი, ფეხები ქუქყიანი. მე ძალაუნებურად დამებადა კითხვა, რამდენს იდებენ ისენი თითო დავროვილს ხეინჯაზე, რომელსაც ყველა ჩვენგანი ხედავს გზატკეცილის ნაპირებზე და რამდენ გროვის გაკეთებას შესძლებს თითო მათგანი. როგორც შევნიშნე, ქვა ძალიან მაგარი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ზოგს ხუთი, ექვსი დარტყმით ძლივს ამტვრევდნენ. რა ძნელი უნდა იყოს, რომ მთელი დღე ამ თორენსავით ცხელ მზეზე იჯდეს ადამიანი ერთ ადგილას და ერთ და იმავე მოსაწყენ საქმეს აკეთებდეს.

აქ მომაგონდა ჩემი მეგობრის მოსამსახურე, რომელსაც ამას წინათ ჩვენთვის წყაროს წყალი მოჰქონდა ერთი ვერსის მანძილიდან. სახეზე წურწურით ოფლი ჩამოსდიოდა, ისეთი ქშენა მისწოლოდა გულზე, რომ ფეხები ეკეცებოდა და ძლივს და მოაბიჯებდა. მე კი ვფიქრობდი, ნეტა რა მომივიდოდა, რომ ჩემთვის დაეკისრებინათ მაგ საქმის შესრულება. ჩემი მეგობარი ამბობდა, რომ არას გზით არ ვიკისრებ მაგასო. საშინლად მინდოდა მას დაენახა ეს სპარსელნი. თქმა არ უნდა,

მას ენახება ეს სურათი, ვილას არ უნახავს, მაგრამ ყურადღება არა ვის მიუქცევია. მანქანაში ინც ეს არც ისეთი კარგი და თვალწარმტაცია სანახავია, შესაზარია მხოლოდ და სხვა არაფერი. როდესაც მზის სხივებს სურთ ფარდებ შორის მკრთალად შემომებარონ, მე ყოველ ღონისძიებას ვხმარობ ხელის შესაშლელად და აქ კი, ჩემს ახლოს მთელი შვიდი საათის განმავლობაში მზის პანაქებაზე ქვიან ამტვრევს ორი საცოდავი არსება.

ნეტა ვიცოდე, რითი ჯილდოვდება დღიურად მათი ასეთი მწარე მუშაობა?

ისინი ლაპარაკობდნენ. მე ყური ვათხოვე, რადგანაც მსურდა დაშეკმაყოფილებინა ჩემი ცნობის-მოყვარეობა. ამ დროს მოისმა ყვირილი:

— ბულკები! — ყვიროდა კაცი, რომელიც სწორეთ ამ მომუშავეთ ახლოს მოდიოდა წახრილი, ჯოხზე დაბჯენილი და ზურგზე აკიდებულ დიდის კალათით.

— რაო? — ჰკითხა ერთმა მათგანმა და თან ჩაქუჩი დაუშვა ძირს.

— ბულკები? მერე რა არის ეგ? ბულკის გამყიდავი შესდგა და უპასუხა:

— პურია!

— მერე პურს განა ეგრე ჰყიდიან?

მეორემაც შეაჩერა მუშაობა და მიუბრუნდა თავის ამხანაგს:

— შენ არ იცი, მამედ? ეგ ხომ პურია, აი ჩაის რომ შეატანენ ხოლმე.

— აბა მაშ, მიჩვენე, — მიუბრუნდა მამედი მებულკეს.

ეს უკანასკნელი დაღლილობისა გამო, ალბად ექებდა ამისთანა შემთხვევას, მსწრაფლ მოისხნა ზურგიდან და დაბლა დაუშვა კალათა.

— აბა ერთი გადახადე, ენახოთ რა ნაირი პური გაქვს? — შეეკითხა მამედი.

— აბა ხომ არ იყიდით და ტყუილად რად გადავხადო!

მეორე სპარსელსაც ცოტა არ იყოს ეწყინა ეს.

— მერე შენ რა იცი, რომ არ ვიყიდით?

მებულკე დაეხარა კალათს დმ გადახადა საფარი.

— აჰა, ნახეთ, ბულკებია, როგორც ბულკები!

კალათი სავსე იყო ახლად გამომცხვარ, დაბრაწულ ბულკებით. ზოგზე შაქრის ნაფხვენნი მარგალიტებივით ბრჭყვინავდა.


— ეს რანაირი პურია? — შეეკითხა მამედი და თან თითი დაადო ბულკს. — განა ეს იქმევა?

— რასაკვირველია! — ჩაიცინა ამხანაგმა.

— ჩაიში სჭამენ და ძალიან გემრიელიცაა — დაუმატა მებულკემ.

— ერთი აქ შეხედე, შირინ. — წაჰკრა თავის





ამხანაგს მამედმა და თან ხელი წაატანა ბუღკს ასაღებად.

— ნუ, ნუ, ხელს ნუ ახლებ, გაფუქდება! — შეუყვირა მებულკემ.

სპარსელმა მსწრაფელ უკან წაიღო ხელი, მიუბრუნდა თავის ჩაქუჩს ხელში ასაღებად, მაგრამ ისევ გადიფიქრა და შეხედა კალათს;

— ტა, ტა, ტა... რა მშვენიერი პურია!

მებულკე კალათის გადაფარებას შეუდგა.

— აბა ერთი ემოტელა მომიციცქნე, გემოთ ვნახო. — უთხრა მამედმა და თან ნეკზე უჩვენა რამოტელასაც სთხოვდა.

მეორე ამხანაგი ღიმილით ყურს უგდებდა ამ ლაპარაკს და თან ჩაქუჩით აგროვებდა აქა-იქ გადაფანტულ ქვის ნამტვრევებს.

— როგორ შეიძლება? — უბასუხა მებულკემ და თან ზურგზე წამოიკიდა კალათი.

— განა ბევრსა გთხოვ? აი, მხოლოდ ემოტელა და თუ მომეწონა, ვიყიდი კიდევ.

— ძალიან კარგია, რაღა სინჯვა უნდა, ვერა ხედავ შაქრით არის გაკეთებული?

— ეგ შაქარი მხოლოდ ზევიდგან აყრია, თორემ განა შიგაც ექნება?

— შიგაც აქვს, მაშა!

— შიგაც! ნუ თუ? — გაუკვირდა მამედს.

— რა საკვირველია! შაქარიცა აქვს და ერობაც.

— ეჰ, ჰე, ჰე!.. რისგან არის ეგრე გაწითლებული?

— ერობა და კვერცხებისაგან.

— როგორ, კვერცხიცა აქვს?

— კვერცხიცა და რძეც.

მამედამ შეხედა თავის ამხარაგს. თვალები და ცხვირის ნესტოები გაუდიდდნენ და მისი ტუჩები ერთმანეთს დაშორდნენ. საშინელი მადა აღეძრა. მებულკე გაუდგა გზას, მამედმა თვალები გააყოლა: შირინმა შენიშნა ეს, პატარა ხან შუბლი შეიქმუნა, მერე მიუბრუნდა მებლკეს და გადაწყვეტით შეეკითხა:

(გაგრძელება იქნება.)

**დ. გამყრელიძე.**

**მეგობრის სამარხთან.**

(გუძღვნი ვლ. დ.—შვილს.)

რა რიგ გიყვარდა შენ ეს საღამო!..  
ნელად დუღუნებს ხევში მდინარე.  
ჩაფიქრებული ტყე შესტრფის ვარსკვლავს,  
ლაჟვარდ ცაზედა კაშკაშებს მთვარე!  
შენ კი დაპშორდი ტურჟა ბუნებას,  
კეთილ გულს ჰფარავს ბნელი სამარე;

ოჰ, რომ შეგეძლოს კვალად აღდგომისა  
აწ დაგატკობდა სამშობლო მხარე!

რაც შენ მიგაჩნდა ფუქ ოცნებათა  
იგი საქმითა ხორციელდება;

ერი ჩაგრული თამამათ აღსდგა  
და ქვეყნის ძლიერს გულს ეკვეთება!..

„ჰქუხს სიმართლის ხმა“, წინ მიილტვიან,  
მძიმე ბორკილებს მედგრად ამსხვრევენ;

მამულიშვილნი ჩვენი ერთგულნი  
სასოწარკვეთილთ განამხნევენ!..

ამ ფიქრში ვიყავ და მალლიდანა  
ხმა შემომესმა ათრთოლებული;

ავხედე ზეცას და წარმომიდგა  
აჩრდილი—სახე განათებული!..

— „სცდები!.. ჩვენს მოძმეთ დაჰვიწყებით  
დიდი მიზანი და მისწრაფება;

ეროვნულ ტაძარს თვითვე ამსხვრევენ,  
სიმართლეს სჩაგრავს უგუნურება!

შელახეს ხალხის წმინდათა წმინდა  
გრძნობას დააჩნდა შავი წყლულია;

მთაბარი ჰგმინავს, მწარე ცრემლს აფრქვევს...  
სჩანს სამუდამოდ დაღუპულია!..

ღრუბლებში, ფრინავთ ტკბილად ოცნებობთ,  
ძირს კი აოხრდა ტურთა მამული;

რა ხემ ფესვები ვერ მოიმაგროს,  
იგი ვერც ჰნახოთ აყვავებული!..

ყურსა ვუგდებდი მე ამ სიტყვებსა  
სავსე გრძნობებით ამოძახილსა;

დიდხანს ვიდექი გაშტერებული  
და განვიცდიდი გულის ტკივილსა!..

ამ დროს ცა შავად ჩამოიბურა,  
ნიავე შესდგა... მიყუჩდა არე;

მკრთალი ვარსკვლავი აღარსად სჩანდა,  
არ მინათებდა კაშკაშა მთვარე!..

ხევში მდინარე არ ხმაურობდა,  
პირქუშ კლდეს აღარ ეურჩებოდა;

ტყეც დაღვრემილი, მიყუჩებული  
ლამის წყვდიაღში ჩაინთქებოდა!..

იქით ღელეში შაშვი ჰგალობდა,  
უცბათ შეკრთა და შეიფთხრიალა;

ჰანგი შესწყვიტა სამხიარულო  
რა ერთხელ კიდევ ჩააწყრიალა!..

კვნესა მომესმა ნორჩი ჩირგვისა,  
ძირს ჩამოაგდო ცრემლი ობოლი;

და უნიავოდ ნელად შეიბნა  
ამწვანებული ნაძვის ფოთოლი!..

ჩემ წინ გაშლილმა თეთრმა ყვავილმა  
დაბლა მწვანეზედ თავი დახარა

და ფოთლებიდან კამკამა ნამი  
მწარე ცრემლებათ ძირს გადმოჰყარა!..



ოზირისის სამსჯავრო

ეგვიპტური თქმულება გ. სენკევიჩისა.

როდესაც ეგვიპტეში გარდაიცვალა დიდი მინისტრი პოუნაბუდესი, შთამომავალი დინასტიისა, რომელიც გიკსების დაპყრობის წინეთ მბრძანებლობდა, ორს უკვდავ იდეას მის სულის დასაპატრონებლათ ერთმანერთში ისეთი ჩხუბი მოუვიდათ, ისე შეარყიეს საუკუნო სიმშვიდის ტაძარი, რომ ყოვლად ძლიერმა ოზირისმა ისინი თავისთან მიიხმო და შემდეგი კითხვა მისცა: ვინა ხართ თქვენ, დაუდგრომელნო სულნო, ან ვინ არის ის ცოდვილი რომლის სულის გამო თქვენ ისე აგინებთ ერთმანერთს, როგორც ბაზრის მოვაჭრე დედაბრები?

პირველმა სულმა უპასუხა:

— მეუფეო, მე ვარ უკვდავი სისულელე. მე, როგორც კეთილი დედა, ვიყავ მის ბრწყინვალეობის მინისტრ პოუნაბუდესის მფარველი მე უკანახებელი მას ყოველსავე სიტყვას და ხელმძღვანელობდი ყოველსავე მის საქციელს. მე ყოველთვის მასთან ვიყავ, არ მოვშორებივარ არც ერთს წუთს და რადგანაც მასაც მე განსაკუთრებით ვუყვარდი, ასე რომ, როგორც ეგვიპტური ანდაზა ამბობს, მთელს თავის სიცოცხლეში იყო სულელი, როგორც მაგიდას ფეხები, ამიტომ მე უფლება მაქვს დავეპატრონო მის სულს და მოვათავსო იმ ადგილს, რომელიც დანიშნულია სულელების დასაბინავებლათ.

ოზირისი მეორე სულს მიუბრუნდა.

— ილაპარაკე ახლა შენ. — უბრძანა მას და ხელში სასწორი აიღო, რომელზედაც სწონავდა ხოლმე ყოველ აზრს, სიტყვას და მოქმედებას.

— მე, ზეციერო მეუფეო! გახლავართ უკვდავი სულმდაბლობა. უარს არ ვყოფ, რომ მათ ბრწყინვალეობის საქციელში ბევრი იყო ისეთი რამ, რომელიც ეკადრება ვირს, მაგრამ ამასთანავე ვამტკიცებ რომ, უპირველესათ ის იყო ავაზაკი. თუ შენ, ბატონო ჩემო, ნებას დამრთავ, მე ათი ათას ამის დამამტკიცებელ საბუთს მოვიყვან, ამ საბუთებს ვერ დაარღვევს სისულელე, ვერ დაარღვევს, თუნდ მხოლოდ იმიტომ, რომ ის სისულელია, ამიტომ მე უფლება მაქვს წავიღო ეს სული და მოვათავსო საიქიოს იმ ადგილს, რომელიც ჩემს განკარგულებაშია და, რომელიც მე დანიშნული მაქვს სულმდაბალთა დასახლებლად.

მართლმსაჯულმა ოზირისმა უპასუხა:

— მე ვხედავ, რომ თქვენ ორთავეს უფლება გაქვთ ამ სულზე, კმაყოფილებით მოგისმენდი და

გაგასამართლემდით კიდევ, მაგრამ ეს მოუხერხებელი იქნება, რადგან მე წინათვე ვიცოცხლედი განმარტება, სისულელე, სულელური შენი-კი, სულმდაბლობავ, სულმდაბალი. უკეთესია მე მოვიწვიო სიბრძნე, დაე, იმან გაგასამართლოთ თქვენ!

— ოო, მეუფეო, — წასჩურჩულა სისულელემ, როგორ უნდა გავესამართლებინო სიბრძნეს, როდესაც მე და ის ერთმანერთის მტრები ვართ.

— დამშვიდდი, — უპასუხა ოზირისმა, სიბრძნე ერთნაირი მტერია, როგორც შენი, ისე სულმდაბლობისა და ბრძანა დაეძახნათ სიბრძნესთვის.

სიბრძნეს, როდესაც იგი წარსდგა მეუფის წინაშე და გაიგო მიზეზი, რისთვისაც მიიწვიეს ის, არ გაუკვირდა. მას გაეღიმა, შეხედა პოუნაბუდესს და სთქვა:

— აა! ეს ის ბრწყინვალეობაა, რომელმაც თვისი საიდუმლო მოწერილობით უბრძანა გუბერნატორებს აეკრძალათ ჩემთვის ეგვიპტეში ცხოვრება!

— პატიოსნებას გეფიცებით, რომ ეს ჩავიდინე სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის... — დაიწყო თავის მართლება პოუნაბუდესმა, მაგრამ ოზირისმა გააჩუმა და ჰკითხა სიბრძნეს:

— როგორი იყო ეს ბრძანება, სულელური, თუ სულმდაბალი?

— როგორც სულელური, ისე სულმდაბალი — მიუგო სიბრძნემ.


მაშინ ოზირისმა თვისი სასწორის თებუბი გაასწორა, ჩამოჰკიდა სასწორი კვარცხლბეკის კუთხეზე და უბრძანა სიბრძნეს დაეწყო გასამართლება. სიბრძნემაც დაიწყო პოუნაბუდესის ცხოვრების განხილვა. მის ახალგაზდობიდან, ვიდრე იგი საიქიოს გადასახლდებოდა. მან მოაგონა მის ბრწყინვალეობას, როდესაც იგი აკადემიაში სწავლის დროს პირველი ლიბერალი იყო, გაათავა აკადემია, ჩაეწერა სახელმწიფოს მოღვაწეთა შორის, და შეაფუთხა რა თვის იდეალებს, პირველმა მოაწერა ხელი დევიზს: „ეგვიპტე — ეგვიპტელებისთვის“. მისი შემდეგი მოქმედება მიისწრაფოდა სახელმწიფოს ბიუროკრატიისთვის დამორჩილებისაკენ. მას ყველაფერში ეჭვი შეჰქონდა, ყველაფერს სუნავდა, გზავნიდა სხვა და სხვა რაპორტებს, გაბრთხილებებს, მიწერილობებს, ხან უკრძალავდა, ხან აუქმებდა, ხან აკვეცავდა და ამით თანდათან ავიწროებდა, ჰკარგავდა, ახრჩობდა ადამიანურ მოქმედებას.

— როგორ გგონია, — შეეკითხა ოზირისი სიბრძნეს, ეს უქვევლია სულმდაბლობაა და დასდო საწონი სულმდაბლობის თევზზე.

ვერ ვიტყვი წინააღმდეგს, ყოვლად განბრძნო-



ქართული ხელოვნება



კოტე მესჩი.

ა. სუმბათაშვილის რომ მიულოცა 25 წლის იუბილეი მოსკ. საიმპ. თეატ.



ტასო აბაშიძე.



1-ლი მწუხარება — გრანგი-ფრანკუისა

ხორბლის კონა — დელიონის ქანდაკი.

ბილო — მიუგო სიბრძნემ, მაგრამ ყველა ამაში ისე დიდი სისულელე იყო, როგორც ხეობის პირამიდა, ვინაიდან პონაბუდესი, თუმცა ფიქრობდა, რომ ეგვიპტეს ამაგრებს, მაგრამ იმავე დროს კი ნამდვილათ ანგრევდა მას. მას ეგონა, რომ იგი მუშაობს სახელმწიფოს დიდებისათვის, ამავე დროს კი არცხვენდა მას. მას ეგონა, რომ ის კანონიერების დასამყარებლათ მუშაობს, ამავე დროს კი სთესდა უკანონობას, ჰქმნიდა შინაურ მტრებს და ამასთანავე სულაც არ მოსდიოდა თავში ის ფიქრი, რომ მის მოქმედებას ავის მეტი არაფერი შეუძლიან მოიტანოს.

— თუ ასეა, მაშინ საწონი სისულელის თეფშზე უნდა დაედვა.

— მართალია, მბრძანებელი, მაგრამ გთხოვ ბოლომდე მომისმინო.


როდესაც პონაბუდესი გაამწესეს ჩრდილოეთის ერთს პროვინციაში გუბერნატორათ, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობას ბერძენები და ფინიკიელები შეადგენდნენ, მან დაუწყო მათ გულმოდგინეთ ეგვიპტელებათ გადაკეთება. აუკრძალა მათთვის ენაზე ლაპარაკი და წერვა-კითხვა, სდევნიდა მათს სარწმუნებას, უკეტავდა სასწავლებლებს და რომ

გარეგნობითაც ეგვიპტელებს დამგზავსებოდნენ, უბრძანა ეგვიპტური თავსამოსი ვინაიდან, მისი აზრით, ეს თავსამოსი ბერძენს ეგვიპტელათ ქმნიდა. ხოლო რას ფიქრობდნენ კი ის თავები, რომელნიც ნაბრძანებ თავსამოს ატარებდნენ, პონაბუდესს ამისი დარდი არა ჰქონდა. ამ თავსამოსიდან თავისუფალნი იყვნენ მხოლოდ ისინი, რომელთაც შეეძლოთ მისთვის ქრთამი მიეცათ.

ოზირისმა თითი ზევით ასწია და შენიშნა, რომ მექრთამეობა სისულელის დამამტკიცებელი არ არიო.

— მართალია, მეუფეო, მაგრამ საწონს ნურც სულმდაბლობის თეფშზე მიუმატებ, ვინაიდან მექრთამეობა ისეა გავრცელებული ეგვიპტეში, რომ არცერთი მოხელე არა სთვლის მას ბოროტებათ. პონაბუდესი მინისტრათ დაინიშნა, — განაგრძო სიბრძნემ, — სწორეთ იმ დროს, როგორც თვით თქვენ უწყით, მბრძანებელი, სწორეთ იმ დროს, როდესაც ეგვიპტე საჭიროებდა დიდს რეფორმებს. აქაც პონაბუდესი ეცადა, ეს რეფორმები ყოფილიყვნენ ისე მცირენი, ისე უმნიშვნელონი, რომ მათით მხოლოდ ხალხისთვის აეხვია თვალები და როდესაც საჭირო შეიქმნა ახალი რეფორმების ცხოვრებაში გასატარებლად ახალი კაცები, ამან ეს მიანდო ძველ, სულელ-





ქსლეუბის გრამოფონი—მათივე საღრჩობი ფონი.

ბიუროკრატ მოხელეებს, რომელთაც სხადღათ ყოველივე ახალი, ყოველივე რეფორმა ხალხის საკეთილდღეოთ, ამ გვართ რეფორმები კი არა, რაღაც მასხარაობა გამოვიდა. პოუნაბუდესი ატყუებდა ხალხსაც და ფარაონსაც. ხალხს არწმუნებდა, რომ ფარაონს მისი დამონება უნდა, ფარაონს კი ეუბნებოდა, რომ ხალხი ემუქრება მის სიცოცხლეს და უფლებას. ფარაონის უფლება შეარყია და ხალხის თავისუფლებაც ვერ გაათართოვა. ამის მინისტრობის დროს სახელმწიფოში გაჩნდა მძარცველთა ბრბო და სიმშილი.

— დიდება ღმერთს, ე. ი. მე, სთქვა ოზირისმა, ეხლა კი ეჭვი არ არის, რომ სულმდაბლობა გადაიწონავს.

— ვერა, მიუგო სიბრძნემ, ვერა, იმიტომ რომ ყველა ამაში, პოუნაბუდესმა გამოიჩინა არა მარტო სულმდაბლობა, არამედ იმდენი ჭკუაც, რამდენიც აქლემის კუბშია.

ეჭვი არ არის რომ მისი მოქმედება საზარალო იყო, მაგრამ ამასთანავე სულელურიც, ვინაიდან მან ვერ შეიგნო რომ იქ, სადაც საჭიროა დიადი შემოქმედებითი პოლიტიკა, ავაზაკობას ადგილი არა აქვს. ეს კი აბუჩად იგდებდა ეგვიპტესაც და

ფარაონსაც, ფიქრობდა მხოლოდ თავის თავზე და ავიწყდებოდა რომ თუ იმოქმედებდა, რაღაც და და ჭკვიანათ, ამით მოიგებდა ეგვიპტე და ფარაონსაც. მოიგებდა თვითონაც და არამც თუ არ დაპყრობავდა მოპოვებულს სიმდიდრესა და დიდებას, არამედ უფრო მეტად ამაღლდებოდა და მისი კეთილი საქმენი მის ხსოვნას საუკუნოთ განამტკიცებდნენ ეგვიპტეს ისტორიაში.


— მერე, შენ გინდა მაგით ისა სთქვა, რომ მაგის სისულელე აღემატება სულმდაბლობას?

— ასწივე მართლმსაჯულო, შენი სასწორი და ჩვენ სიმართლეს დავინახავთ.

ოზირისმა ასწია სასწორი და ელოდდა ვიდრე თეფშები გაჩერდებოდნენ. გაჩერდნენ თეფშები და ოზირისის ღვთიურ სახეს ერთსა და იმავე დრო დაეტყო განცვიფრება და რაღაც უხერხული მდგომარეობა. ვერ გადაიწონა ვერც სისულელემ, ვერც სულმდაბლობამ, ორივენი თანაბრად არიან. როგორ მოვიქცე ეხლა? წარმოსთქვა ოზირისმა.

ოზირისმა სასწორი გვერდზე გადაადგო, ერთს წუთს ჩაფიქრდა და შემდეგ მიუბრუნდა პოუნაბუდესს:

**ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს...**



სტრუბუნ, ვითომც გლესს შიან, ყოველმხრივ დაჩაგრულია: აბა უყურეთ სურათსა, ჩვენგნით რომ დახატულია!..

— თქვენო ბრწყინვალეებო, აი ჩემი განაჩენი: დაბრუნდი ისევ დედამიწაზე, იყავ ფარაონების მინისტრი, იგამგებლე, იეშმაკე, იცბიერე, იბრეხი-დენტე და, როდესაც გავა ასი წელიწადი, მაშინ გამოირკვევა სწორეთ რა უფრო მეტია. შენში, სულმდაბლობა თუ სისულელე. მაშინ მეცოდინება მეც, ამ ორ სულში, რომელმა უნდა მოგიმზადოს შენ საუკუნო რეზიდენცია.

სთქვა ეს ბრძენმა ოზირისმა, მიტრიალდა ტახტისკენ და თვის ღვთიურ ფეხის მოულოდნელის გაქანებით, ააჩქარა პოუნაბუდესის მიწაზე გადმოსახლება.

ი. ევლოშვილი.



# პეტარდები\*

(კვირადან-კვირამდე)

—:—

„სასოფლო წაღები“ მოუპარავთ!... „ნეტარ ხსენებულ“ პოლკოვნიკის ბაუერ-კრილოვისაგან მეტად დავალბებულ გორის მაზრაში არსებობს ერთი, განსაკუთრებით კეთილშობილ აზნაურებისგან დასახლებული სოფელი წ—ი. თავზედ ამ სოფელს ლაჟვარდი ცა ხურავს, ზემო მხრიდან კუჟუჟა ტყეებით დაფენილი გორაკები სდარაჯობენ და მრავალ მოკისკისე, ანკარა რუ-ნაკადულებს უგზავნიან; სოფლის ქვემოდაგან გადაჭიმულია ხვადაბუნები, რომელთაც ელამუნება მტკვარი და, აქაურობის სიმშვენიერით მოხიბლული, თავის გამოურკვეველი ბუტბუტით „ძილის პირს“ უმღერს; იმას აქფართოდ გული გადუშლია და დინჯათ, დიდებულად მიაქანებს თავის ტალღებს... ამიტომაც რა გასაკვირველია, რომ ვიდრე ეს „რალაც წყეული ცოციალური არეულობა“ დაიწყებოდა, წ—თანა წყნარი და მოსვენებული სოფელი, არამც თუ კავკასიაში, მგონი რუსეთშიაც კი არ მოიპოვებოდა: აქ მცხოვრები წმინდა სისხლის აზნაურები მხოლოდ განცხრომას და ძილს მისცემოდნენ; თუ გამოიღვიძებდნენ, მხოლოდ მაშინ, როცა კუჭი შეაწუხებდა, თორემ ერთთავად იყვნენ ამირანივით გაშოტილნი და იქ გამეფებულ მყუდროებას მხოლოდღა არღვევდა გმირული ხვრინვა და დრო გამოშვებით, მყუფართა წკავ-წკავი, გამოწვეული ამ სოფელში შემოსულ გლეხებისაგან, რომელთაც მოჰქონდათ ხოლმე ღალა თავიანთ ბატონებისათვის. მაგრამ მოგვხსენებათ, რომ ჩვენმა აბობოქრებულმა დრომ და მოძრაობამ ბევრის „წმინდათა-წმიდას“ შეახო ხელი და, სხვათა შორის, წ—ებს მოუვლინა ერთი შემადრწუნებელი ამბავიც. წ—ებს დიდი ხნიდან შეძენილი ჰქონდათ გვარიან ფართო ზომის „სასოფლო წაღები“, რომლის დანიშნულებაც იმაში გამოიხატებოდა, რომ „ამშვენებდა“ იმ აზნაურის

ფეხებს, რომელიც მიემგზავრებოდა ხოლმე ან ქალაქში, ან სადმე საპატია ადგილს მსტრუქუნდნენ გვარად, არ დარჩენილა ამ სოფელში. ცნობილია კი ლთაგანი არც ერთი მოზრდილი მამაკაცი, რომელსაც ამ საბრალო წაღებში ფეხები არ ჩეყოს. რა თქმა უნდა, ამ ჩექმების მიერ დადებული ხანგრძლივი ამაგი დაუფასებელი იყო და ამიტომაც არც გასაკვირველია, რომ დამსახურებულ და „ოტსტავკაში“ გამოსულ პოლკოვნიკივით ეს წაღები მთლათ დაბლუნძულიყვნენ, ყურები ჩამოეშვათ, ქუსლები ერთ მხარეს მიიწვედნენ, ტუჩები—მეორეს— და სისრულის დროს შესაბრალისი ჰრიალი გაჰქონდათ, წნელით მიბმულ კარებივით, მაგრამ წ—ები მაინც დიდხან არ აპირებდნენ ამ ჩექმებზედ ხელის აღებას. და აი სწორეთ ეს დეაწლ-მოსილი „სასოფლო წაღები“ ერთ უბედურ დღეს თავის საპატია ადგილზე ველარ უნახავთ წ—ებს და ბევრ ძებნასაც უნაყოფოდ ჩაუვლია. რა თქმა უნდა, რომ ამ შემადრწუნებელ ამბავს ძალიან უმოქმედია წ—ზედ, რომელთაც ყრილობა გაუმართავთ და ერთ ხმათ დაუდგენიათ: „რადგანაც ესრეთ „ულოლოვნი საქმეს ჩვენ მეზობელ ხ—ში მცხოვრებელ „მუჟიკების“ მეტი არივნ ჩაიდენდაო, უუქვეშეგრომელესი არზა მივართვათ მთავრობას, რომ ამ მეზობელ გლეხებს ეგზეკუცია ჩაუყენოს“...

◆ **ქუთაისიდან** ცნობა მოვიდა, რომ იქაურ ეკლესიებიდან ხატებიც კი გარბიან. ჩვენ გვეგონა, რომ ეს აიხსნებოდა ქუთაისში არსებულ აუტანელ პირობებით, ან და იმით, რომ რადგანაც ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებელთა თითქმის ნახევარი რიცხვი გადასახლებულია ციმბირის სხვა და სდვა ადგილებში, ხატებიც მლოცველებს გაჰყვნენ მეთქი, მაგრამ, როგორც ერთმა ეს-დეკმა დაგვარწმუნა, თურმე იქ თავს შველიან თავისვენებით მხოლოდ მსხვილი-ბურჟუა, თვალ-მარგალიტებით შემკული ხატები და ამ გვარად მხოლოდ ჩვენში ეკლესიების გაპროლეტარებაც ხდებოა, რაიც უტყუარი ნიშნებია სოციალიზმის მოახლოებისაო.


— ღმერთო შენის მადლით!...

◆ **ჭიათურის** დგან გვატყობინებენ, რომ „მთელ კავკასიაში დაუძლეველი, ცნობილი მოქიდავე“ ბ. ესებუა შურით ავად გამხდარა, როცა შეუტყვია, რომ თბილისში ღირსეული მოქიშპენი გამოსწენიან და იმის მოუპატიუებლათ, ბ. ბ. ყარბის და Spersa-სა-ს უკვე ხელთათმენები უსროლიათ ერთმანეთისთვის და აპირებენ „გრანდიოზნი“ ქიდაობის გამართვას ბ. ხაჩატუროვის ცირკში... უკაცრავად— „ლისტოკში“.

◆ ადგილობრივი ძლევა-მოსილი და „ერთადერთი მუშათა პარტიის“ ს.-დ. ცენტრალური კო

\* ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ „პეტარდების“ გადათვლიერების დროს სიფრთხილვა საჭირო, რომ არ იფეთქოს და არ ავნოს ზოგიერთ მკითხველის სმენას. ვაფრთხილებთ აგრეთვე და ვსთხოვთ ყველას, ვიდრე არსებობენ საალყო, სამხედრო-საენლე, გაძლიერებული და სხვა გვარი დასამშვიდებელი წესები, „პეტარდების“ გადათვლიერებისას სახეზედ ღიმოსაც კი ნუ გამოიჩენს, რადბანაც ყოველ მეეზოვეს ფართო უფლება აქვს მინიჭებული ღიმოლიც მრავალმნიშვნელოვან—„ნებლალღანდიოქნათ“ მაიღოს და შუამდგომლობა აღძრას მთელი რედაქციის გადასახლებულად საქართველოს ფილიალურ განყოფილებაში—ციმბირში...





**მიტეტი**, ხანგრძლივ და შეტად გაცხარებულ კამათის შემდეგ, იმ უტყუარ დასკვნამდე მისულა, რომ „ხალხი (მასსა) შეგნებული და მომზადებული რომ ყოფილიყო, მთელი ხაზინების სიმდიდრე ჩვენ რომ გვქონოდაო, ბურჟუა-ფეოდალებსაც ჩვენ დროშის ქვეშ რომ ებრძოლათო და მთელი ჯარიც ჩვენკენ რომ გადმოსულიყო,—დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ „ტუზიკს მიმდგარი“ ჩვენი მთავრობა, პირს ველარ იბრუნებდა და ხალხიც უეჭველად გაიმარჯვებდაო“...

— აფსუს, თურმე რა „ცოტა რამელა“ ჰკლებია ...ქვეყნის საბოლოოდ ხსნას!...

◆ ჰქონიათ ეგრეთვე კრება და გაცხარებულ კამათი **ს.-ფედერალისტებსაც** და ხმის უმრავლესობით მიუღიათ შემდეგი რეზოლიუცია: „თუ პროვინციები შემოგვეციკვენ და ნატარიუსის-მიერ დამტკიცებულ „დოღოვორით“ უზრუნველ ჰყოფენ შემდეგ პირობებს: ყველგან სოფლად და ქალაქად დაგვიმზადებენ ჰიგიენურად მოწყობილ აუდიტორიებს, თავის კაფედრებით, თუ ჩვენ მოქმედებას არც მთავრობა, არც სხვა პარტიები ხელს არ შეუშლიან, თუ მატერიალურადაც ცხოვრების პირობები უზრუნველ-ყოფილი გვექნება,—თავს მივატოვებთ ქალაქის განებივრებულ ცხოვრებას და შევუდგებით აქტიურ მოქმედებას: ჩვენ იღებეს ხალხში გავავრცელებთო“.

◆ **საქართველოს სამღვდელთა საბოლოო** შეიტყურობა ეშმაკს და უარ-ჰყო ყოველივე, რასაც კი წინეთ ვითომ თავ-გამოდებით ამტკიცებდა საქ. ეკლ. ავტოკეფალიაზე და ყველას უმორჩილესად სთხოვს, ნურც ნულარაფერს დაუჯერებს მომავალშიც, უკეთუ მან (სამღვდელთა სამსახურს) კიდევ რამ საჯაროთ აღიარა და მტკიცება დაიწყო.

◆ ტყუილია ის ხმები, ვითომც **ზუბალაშვილების-მიერ დაარსებული სტიპენდიები** უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეებისთვის მიკერძოებით გენაწილებინათ. ამ სტიპენდიების განაწილებელი კომისია საყოველთაოდ აცხადებს, რომ როგორც წევრები ამ კომისიისა, ეგრეთვე მათი მახლობელი ნათესავ-მეგობარ-ნაცნობები სრულიად კმაყოფილნი არიან ამ განაწილებით და არავითარ პრეტენზიას არ აცხადებენ.

◆ პეტერბურგიდან ცნობა მოვიდა, რომ „ცნობილ **დეპუტატს პურიშკევიჩს**“ განუზრახავს ისარგებლოს იმ „ოტპუსკით“, რომელიც დუმამ „მიანიჭა“ და, მიუღია რა მოპატიჟება „თბილისის პატრიოტულ საზოგადოებისა“, აპირებს ჩამოსვლას და „ძმობის საკრებულოში“ წაიკითხავს რამდენსამე ლექციას შემდეგ თემაზე: „უშვერი ლანძღვინება, როგორც დამახასიათებელი თვისება ქეშ“.

მარიტ რუსთა კავშირებისა.“ ბილეთები უკვე იყიდება „გოლოს კავკასის“ და „ლეტონიის“ კციებში.

◆ **გაზ. „ზაკავკასიის“** რედაქციას ორი ზედმეტი ოთახი დაუქირავებია, სადაც მოუთავსებია: ერთში ვლ. მიქელაძის და მეორეში ერისთავის „ობროვერჟენიები“ და დრო და დრო, რაც განცხადებებიდგან თავისუფალი ავდილი დარჩება, ხან ერთის წერილს მოათავსებს და ხან მეორისას. ამ გვართ „ზაკ.“ „მასალით“ რამდენიმე წლის განმავლობაში უზრინველყოფილია.

✕ **წყნეთის ქუჩასთან მცხოვრებელ** ვერელებს კეთილი აზრი მოსვლიათ და ცნობილ ეკონომისტ ბ. ტოტომიანცის წერილების ზეგავლენით, აპირებენ კოოპერატიულ ამხანაგობის დაარსებას, რომელმაც უნდა იღოს თავზე (და არა ფეხებზე, როგორც ამას ჩვენში სჩადიან ზოგიერთ „ამხანაგობების“ მმართველნი) ვერის დაღმართის დასაწყისში ააშენოს ჰიგიენურად მოწყობილი, იაფ-ფასიანა ნომრები, ღამეების სათევდაც, იმ მოცლილ მგზავრებთათვის, რომლებიც დროს არ აფასებენ და ვერაზედ წასასვლელად მოისურვებენ წყნეთის ქუჩაზე მოსიარულე ვაგონის მოცდას. ამბობენ ვერელებს უკვე მიმბაძველნიც გამოსჩენიან: იგეთსავე ამხანაგობებს აარსებენ დიდუბეშა და ციციანოვის აღმართთან მცხოვრებლებიც.

✕ **სტამბა „იდეალში“** ერთ მომუშავეთავანს განუზრახავს სტამბაშივე დაეარსებინა „მუშტის კრივის კურსები“, მაგრამ ამხანაგებს უთხოვნიათ სავარჯიშოთ სხვა აუდიტორია აერჩია. ეტყობა ამ სტამბის მუშების უმრავლესობა შეტად „ჩამორჩენილნი ყოფილან, რომ ვერ უსარგებლიათ „ზრდილობიან“ ამხანიგის „კეთილ“ განზრახვით...“

✕ **ახალი ევროპიული თამაში „კონსტანსია.“** (მცირე წლოვანთათვის) მოთამაშენი გავლენ ფართე მინდორში და საერთო ძალით გააშენებენ ვითომ ქალაქებს, სოფლებს და სხ. შემდეგ გაიყოფებიან ორ ბანაკათ (უბნათ): ერთში დადგებიან უმრავლესობა, მეორეში — უმცირესობა, ამათთანვე შორი-ახლოს იდგებიან მწყობრად ზოგნი კეტებით შენარადებულინი. უმცირესობისვე ხელშია სათამაშო ბურთიც. მოთამაშედაგან ვინმე გამოდის და დაიძახებს, რომ „თამაში იწყებო“ და ამ დროდგან უმრავლესობის წევრები უნდა ეცადნენ და შეუმჩნეველად მიეპარონ უმცირესობის ბანაკს, ბურთი გამოგლიჯონ და თავისკენ გაიტაცს. მაგრამ, რა თქმა უნდა, უმცირესობა შეიტყობს უმრავლესობის განზრახვას, თვალს უზავს კეტებიანებს, რომლების დახმარებითაც დაილაღავს და ზურგზედ ბოლს აადენს უიარაღო უმრავლესობას. შემდეგ,



ფეხ ქვეშ გაგდებულ ბურთის შემწეობით, სულ მიანგრ-მოანგრევეს და მიწასთან გაასწორებს უმრავ-ლესობის უბანს. ირწმუნებიან, რომ მოთამაშეთ თუ კარგი ხელმძღვანელი შეხვდა,—ეს თამაში მეტად საინტერესოაო...

◆ვთხოვთ გაზეთ „ნიშადურის“ პროვინციელ თანამშრომლებს მოგვაწოდონ ხოლმე **შესაფერი** ცნობები პროვინციალურ ყოფა-ცხოვრების დასა-ხასიათებლად. ესეთ მასალას ზედ უნდა ეწეროს: „პეტარდებისთვის“.

გ. ა—ცხელი.

საუ'თიერთო დაცვის კავშირი



**ყმაწვილი კაცი.** ბავშვო, ვინ არის ეგ ლამაზი ქალი? შენი მეთვალყურეა?

**ბავშვი.** დიახ... ჩემი მეთვალყურეა, მაგრამ სამაგიე-როთ მეც ამას თვალყურს ვადევნებ!..

დედინაცვლის ნანა.

მისთვის გარწეფ, შე სამაწევ,  
მსურს რომ დაგაძინა,  
დაგაფიწეო დედა, თამარ,  
ქეთევან და ნინო.—

დედის ნაცვლად შე გიუვარდე,  
ჩემებრ გატიტინო;  
მსურდეს ცრემლი გადგრევიანო,  
მსურდეს მოგაღხინო.

მირი მავრად შეგებუდრე,  
მკლავი გავიკანე,  
საუკუნე ასე გარწეფ  
და ვერ დაგიმანე.

ჩადეგ დედა გავონდება,  
ჩადეგ მისკენ იწევე;  
განა დედის მავიწრობას  
შე კი ვერ გავიწევე?

ეს იცოდე, ღომის ლეკვო!  
შე ვარ შენი დედა,  
ნუ ჯიუტობ, ნუ ცნებობ,  
ნუ მოგვიფა ბნედა.

დაივიწე, რაც იუფი,  
ჩემზედა ილტვი,  
გაჯობს შეემა, შეთაყვანო,  
ფეხი დამიკონე.

შე გზატრნობ, შე გპატნობ...  
სხვა რადა გსურს ნეტავ?...  
ამოგიუფან მაგ აკვნიდან  
სიბ ქვას მიგაწევეტავ.

გერი.

მოწმობა.

ერთმა ბატონმა დაითხოვა თავისი მოახლე და ამისთანა ატესტატი მისცა; მოახლემ წერა-კითხვა არ იცოდა და თავის ნათლი დედას წააკითხა:

„ამა და ამ მაზრის გლეხის ქალი, მარიამ გა-ვაქანიელა დათხოვნილია ჩემგან სამარადისოდ, უკუნათი-უკუნისამდე და ამით ეძლევა უფლება ჩე-მთან აღარ დაბრუნდეს. მარიამ გავაქანიელა ვემ-სახურებოდა ერთი წელიწადი, ორი თვე და სამი დღე და ეს ღრო იყო მეტისმეტად მზრუნავი საქ-მელების ხეთქისა, გულმოდგინეთ სდარაჯობდა იმ კარებს, რომლის იქით ღვინო და მაგარი სასმელე-ბი მქონდა შენახული, ჯათაში იყო ზომიერი, თა-ვისი თავის დიდი მზრუნველი, თავის გამართლება-ში მეტად მკვირცხლი, მეტად ნაზი და ალერსიანი ყოველს კაცთან, თავის საყვარლების დიდი ერთ-გული და მეტის-მეტად პატიოსანი მაშინ, როცა ყველაფერი დაკეტილი დახვდებოდა“. ამას ხელს ვაწერ მისი ნაბატონარი მალხაზა.

პეტრუკა.





მაგდალინა სინანულის დროს — გაბრიელ მაქსის  
წახატა

**გამარჯვებულებს.**

ვიცი ბატონო, გწყურიათ სისხლი,  
წინ ელობებით საერთო საქმეს,  
თოფებს, ხმალ-ხანჯლებს ხმარობთ იმიტომ,  
რომ გამარჯვება მხოლოდ თქვენ დაგრჩეს.

მაგრამ ამაოდ, სიმართლის მტრებო!  
ვერ ეღირსებით მშვიდიობით ყოფნას,  
თუნდაც ძალიან რომ მოემზადოთ,  
ვერ გადურჩებით კრულვა და წყევლას.

დე ითარეშეთ, ძალა იხმარეთ,  
გვალრჩეთ, გვაწამეთ სიმართლისათვის;  
დრონი მეფობენ და ვინ რას გეტყვით,  
სულის კვეთების შეზღუდვისათვის.

მაგრამ როდემდის? ერთხელაც არის  
სასწორი ჩვენსკენ გადმოიხრება,  
მაშინ კი ფრთები შემოგეკრება,  
თქვენი თარეში ფუჭი იქნება.

ერ. ჭოჭუა.

**სასამართლოს მართან**

სასამართლოში ფრიად საყურადღებო და საინტერესო  
საქმე ირჩევა. ბ. ყოყონაშვილი უჩივის გუბუნავს—დაზარა-  
ლებულთა სასარგებლოდ შებრავილი ფულას შექმა დამწამა  
და თავს ლაფი დამასხაო.

**მოსამართლე.** ბ. გუბუნავა, რითი შეგიძლიანთ დაამ-  
ტკიცოთ, რომ ბ. ყოყონაშვილმა დაზარალებულთა სასარ-  
გებლოდ მობრავილი 2006 მანეთი თითონ შესაძლოა და და-  
ზარალებულთა არაფერი არ მისცა?

**ბ. გუგუნავა.** ბ. მოსამართლე, დასახელოს ყოყონა-  
შვილმა ერთი კაცი მაინც, ვისაც დაენმარა და მე დიდის სია-  
მოგნებით უკან წავიღებ ჩემს სიტყვებს.

**მოსამართლე.** ბ. ყოყონაშვილო, ვისთვის იყო ფუ-  
ლი მოგროვილი, ხომ თან არაგაქვთ ის სია, რომელზედაც  
ფულის დანიშნულება იყო აღნიშნული?

**ყოყონაშვილი.** ჰმ! რასა ბრძანებთ, ბატონო? გეტ-  
ყობათ სულ ხამი ბრძანებულხართ. იმისთანა „ორნტრია-  
ლისა“ და ვაი-ვაგლახის დროს იმისთანა ქალაღს ვინ ოხ-  
ერი შეინახავდა?

**მოსამართლე.** კარგი, არ შეგიძლიანთ ერთი კაცი  
მაინც დასახელოთ, ვისაც დახმარება აღმოუჩინეთ?

**ყოყონაშვილი** (იქით). ეს მამაცხონებულის შვილი,  
სულ ბავშვი ყოფილა! (მოსამართლეს) ბატონო, მე მიკვირს  
ღმერთმანი, რომორ კითხვებს იძლევით? აბა, თქვენ თვითონ  
მიბრძანეთ. შეგიძლიან დავასახელო მაგისთანა კაცი?

**მოსამართლე.** მაშ, ამისხენით მაინც, რომორ მოიხმა-  
რეთ 2006 მანეთი?

**ყოყონაშვილი.** დანიშნულებისამებრ.

**განაჩენი:** „ვინაიდგან საქმის გარჩევის დროს ცხადათ  
დამტკიცდა, რომ ბ. ყოყონაშვილს 2006 მანათი ისე მოუხ-  
მარია, როგორც „თავისი საკუთარი სინიღისი“ აძლევდა ნე-  
ბას, ბ. გუგუნავა ყველა კანონების ძალით ჩამოხრჩობიღ  
იქმნას პირველ ხეზეღვე.

ვანო.

**იქროღე, ქარო.**

დაჰბერე ქარო მსისხანედ,  
გაჰფანტე ბნელი წყეღიადი,  
და ჩავრულ ხალხსა აღირსე  
სხვა ძალა და განთიადი.

დაჰბერე ქარო..., ნუ შიშიბ,  
იქროღე მუღმივ, ძალიან,  
უსამართლობა ამ ქვეყნად  
განადგურე ძირიან!

გრი-გრი.

**პროვნიცია.**

**ფოთი.** (აქაური რამე-რუმე.) ფოთს აქებ-  
ღენ, შესანიშნავი ქალაქი არისო. ამიტომ მეც  
მოვიწადინე მისი ნახვა—დათვალიერება. თუმცა  
თანაც მეშინოდა მოგზაურობისა, ვინაიდგან აქ  
თურმე ძლიერ გამრავლღენ ახალ მოღის ექსპროპ-  
რიატორები. როგორც იყო ვეღირსე ჩემ, ნატვრის  
აღსრულებას და თავი ამოვეყავ ფოთში. მაგრამ ნე-  
ტავი ფეხები მომტეხოდა და იქ არ ჩავთრეღლიყავ!  
ჩასღლა ღამე მომიხდა, მეეტღემ სასტუმრო „ფრა-



ნციანში, მიმიყვანა, სადაც გარყვნილების ბუდე ყოფილა. გათენებამდე ძალივით დავძრწოდი და ვეხვეწებოდი ღმერთს, ერს, ბერს, რომ მალე გათენებულიყო. ნესტორ კალანდაძის სული ნუ წამიწყმდება, იმ ღამეს თვალი არ მიმილულავს, ისე გავათენე ფეხზე. ინათა თუ არა გავეშურე და დავიწყე ქალაქში ხეტიალი. ქალაქი მართლაც არ არის დასაწუნი: შუაგულ ქალაქში ზანტად მიიკლაკნება მდინარე რიონი; ქუჩები შესანიშნავია; საავადმყოფო მეტად სუფთა. ქალაქის შუა ალაგას აღმართულია კოშკი, რომელზედაც რუსულად არის წარწერილი „Пажарная команда“. ყავახანა „მაკედონიაში“ შევედი ჩაის დასალევად. საყავო გაქედლი იყო „ჩავარატნიკებული“ ბერძნებით და ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ: „ღრიმატა ენეხი-“ო\*). შემდეგ ბულვარში სეირნობა დავიწყე, იქ ერთი ს. დ. გავიცანი ბატონი ჟ-ი და ბევრი ვისაუბრეთ ადგილობრივ ამბებზე და ქალაქის საქმეებზე. ამ დროს ვილაცა ქარაფშუტა ბარიშნებმა ჩამოგვირბინეს და ამ ჩემს ახლად გაცნობილს რაღაცა ჩაურუსულ-მეგრულ-ქართულეს და ჩემი გაცნობილი ხელიდან გამოსტაცეს. ერთი კი მოიხედა და მომამახა: „მშვიდობით ამხანაგოვ“-ვო. საჩქაროდ ხელი ჩავიყავი ჯიბეში, იქნება ნიშადური მქონდეს მეთქი, მაგრამ გამთავებოდა, მორე კარლო ნუ მომიკვდება, ისე ამოცვხებდი, რომ თავიანთი თავიც ვერ ეცნათ.

შევიტყე რა, რომ „ნიშადური“ ბლომად იყო საჭირო, წავედი ფოსტაში რომ დეპეშით გამომეწერა, მაგრამ „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“-ო რომ იტყვიან ისე მომივიდა. მოეყარათ თავი უსაქმო ბუხვალტრებს, ტენიკ-ინჯინრებს, ტელეფონის განყოფილების ბარიშნებს და იყო ერთი სიცილიკივილი და აურ-ზაური. ჩინოფნიკებიც დებულობდნენ მონაწილეობას ამ მეჯლისში, ვინ მიაქცია ყურადღება ჩემს დეპეშას. მოვბრუნდი და მოვაშურე აფთიაქის საწყობს, რომ უბრალო ნიშადური მეყიდა და მით მაინც დამეფთხო ისინი. აფთიაქის საწყობში შორიდგან შევიჭვრიტე, იქაც ისა ცდებოდა, რაც ფოსტაში. მაშინ კი დავრწმუნდი, რომ აღარ იყო საშველი და საღამოს მატარებლით გამოვკურცხლე და ვილაცას მატარებლიდან მივაძახე: ჩემო ძმაო, „აქ ბაყაყეთი კი არა, არშიყეთი ყოფილა“-მეთქი.

კოწია ენოსისელი.

**ლანჩხუთი. (სანიშადურო პირები.)** ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ დამითმოთ ორიოდ სტრიქონი „ნიშადურში“. ერთი აქაური საამხანაგო

\* ) ე. ი. ფულები არა გვაქვსო.

დუქანი იოსება და სერგოსი გადაქციული არის კარტის, ნარდის და კამათლების სათამაშო. გამუდმებული თამაშია და, რა თქმა უნდა, ვაშტუმბული ცემა-ტყეპაც. ამ უბედურებისა და სივადლობის მოსასპობად უქველად საჭიროა ამოსცხობ 20% სიმწვავიანი ნიშადური. ნიშადურ ამოსაცხები არის კიდევ ლანჩხუთის სადგურის ერთი ტელეგრაფისტი. ეს ვაჭმტონი დებულობს დეპეშებს, აძლევს ყალბ კვიატანციებს, დეპეშებს თავის დანიშნულებისამებრ არ გზავნის, ფულს კი ითვისებს. ჯერ-ჯერობით ამათ მოსცხეთ ნიშადური და მერე სხვებსაც დაგისახელებთ.

სკინჩა.



ღვარძლიანი კრიტიკა.

ამ დღეებში ქართული წიგნების ბაზარს შეემატა ერთი ფარფატინა ბროშურა ვილაც უსახელო ავტორისა—სეველასი სახელად „ქართული თეატრი“.

ვითომ და კრიტიკულ ბროშურაში, სხვათა შორის აღნუსხულია ის ორგანიული ნაკლი და ხელშემწელი მიზეზები, რომლებზედაც დიდი ხანია უთითებენ და სჩივიან, როგორც თვით მახიობნი აგრეთვე თეატრის გამგენი და ქართული სცენის ყველა გულშემატიკვარნი.

ამ მხრივ ნილაბ აფარბული ავტორი **ახალს სრულე-ბით არაფერს ამბობს**, აგი მხოლოდ თუთიყუშვივით იმეორებს უკვე მრავალ გზით სხვებისაგან ნათქვამს და ნაწერს, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ყოველივე სიტყვა და წინადადება უსახელო ავტორისა მოწამულულ-მოწხამულია უზომო ღვარძლით, წრეს გადასული და თავხედური ცილის წამებით და სიყალბით ქართველ მსახიობებისადმი და განსაკუთრებით კი ეხლანდელ რეჟისორისადმი.

თავის დროზე, რა თქმა უნდა, ჩვენ უთუოდ ბამოვაა-შკარავებთ უსახელო ავტორის გულმრუდობას და სულმოკლეობას. ჩვენ უკვე მოგვიტანეს ორი მოზრდილი წერილი უსახელო ავტორის შურიანობისა და ყალთბანდობის დამახასიათებელი.

მანამ კი ვეტყვით უსახელო ავტორს პოეტის სიტყვებით:

წუთისოფელი ასეა: ღამე დღეს უთენებია,  
 რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია!..  
 ხოლო ეჭვი ქართულ სცენის მუშაკთა და გამგეთა სიყვარულში ქართული თეატრისადმი ყოვლის უცოდინარაა და უსინდისო კაცს თუ დაებადება ღვარძლიან ბულსა და გამოფიტულ გოგრაში.

გასართობი

ერთ სოფელში გლეხი ორჯელ გადავარდა წყალში თავის დასაღწობად და ორჯელვე მეზობელმა გადაარჩინა. შემდეგ მან ხეზედ თავი ჩამოიჩინა და მეზობელიც იქვე იდგა და გულჯამშიდებული უყურებდა.

— რატომ არ ჩამოხსენი ხიდან? რატომ არ გადაარ-



ჩინე! — უსაყვედურეს სხვებმა, როცა გლეხი უკვე ბათავებუ-  
ლიყო.

— მე ისე მეგონა ალბად მზებედ უნდა გაზრეს, რად-  
გან ხშირად წყალში გადავარდნით ძალზე დასველებული იყო  
— უპასუხა გულუბრყვილო მეზობელმა.

ვირმა სწორედ მაშინ დაიყოფინა, როცა კაპასი ცო-  
ლი ფანჯარასთან მივიდა.

— გესმის, გიორგი! შენი ნათესავი ყვირის. — უთხრა  
ცოლმა ქმარს.

— მართალია! — უპასუხა ქმარმა, — მხოლოდ ეგ ვირი  
ცოლის მხრივ მენათესავებაო!

— მე თქვენ გუშინ დაგინახეთ!

— სადა?

— „ტილიპუტურიდან“ გამოხვევლით და პირდაპირ შინ  
წახვევლით!

— შემცდარხართ, ჩემო ერთგულაო!

— რათა?

— მე პირდაპირ სახლში არასოდეს არ წავსულვარ!

— ადამიანი ერთად — ერთი პირუტყვია მთელს დედა-  
მიწის ზურბზე, რომელსაც შეუძლიან იცინოს.

— მართალსა ბრძანებთ! იგი ერთად ერთი პირუტყვია,  
რომელზედაც შეიძლება იცინონ.

**ის — არი.**

—:—

(მეგზოვეს უტირავს ქურდი და უყვირის).

— დადექ შე ავაზაკო შენა, მე შენ გასწავლი თუ რო-  
გორ უნდა იქურდო შე.. შე..

— თუ ძმა ხარ, მასწავლე, თორემ მოსვენება არა მაქვს.  
ეს ოხერი ძლიერ ჩქარ-ჩქარა მიტყრენ.

— თავს უშველე, ალაჯან! სახლს ცეცხლი ეკიდება!

— არა უშავს-რა სახლი „სტრახში“ მაქვს შეტანილი!

— თქვენ თავს მაინც უშველეთ, თორემ ცეცხლი გაძ-  
ლიერდება და თქვენც არ დაიწვით!

— ნურც მაგის ფიქრი გაქვს: ჩემი თავიც სტრახში-  
შეტანილი.

**გრი — გრი.**

**ბ.-ნი პლებეი სიმართლის „ძებნაში“ კვდება.**

ბ.-ნი პლებეი ცდილობს დაარწმუნოს მკითხვე-  
ლი, რომ ჩვენ ვითომდა პროვოკაცია გაგვეწიოს.  
როცა (ჩვენის აზრით, უსამართლო საქმის გამომ-  
ქლავნება პრესის მოვალეობაა) ჩვენ გახეთის ფურ-  
ცლებზედ გადავიტანეთ ბ.-პლებეის და მის კამპანიის  
დადგენილებათა აწონ-დაწონვა, და ამ საქციელში  
მართო პროვოკატორი თუ დაინახავდა პროვოკა-  
ციას, რადგან ჩვენს წერილში არაფერი არ ყოფი-  
ლა ნათქვამი იმაზედ, თუ სად მოხდა აღნიშნული  
„საქმე“ და როგორ მოხდა, ვინ დასდო მსჯავრი  
თ-ძეს და როდის. აქ არავითარ არა ლეგალური

საიდუმლოების გამომქლავნება არ ყოფილა, ხოლო  
დამფრთხალი, დაბნეული პლებეი ელოდებოდა  
ედება. ნეტა რისი გეშინიათ? გუბრუნილი  
იმასვე გაიძახოდა, რასაც თქვენ გაიძახით — მაგრამ  
ბოლოს დამტკიცდა — თუ ვინ იყო მართალი და  
ვინ გამურული ქურდობით.

თქვენც შეგნებულად გურკო-ლიდვალის გზას  
ადგენართ და თქვენი ცოდვების მამხილებელთ  
პროვოკატორებს ეძახით... სირცხვილი თქვენ!

თქვენ ამბობთ, რომ თ-ძეს ქურდობა კომისი-  
ამ და „იჩეიკებმა“ დამტკიცესო. კეთილი და პა-  
ტიოსანი, მაგრამ თქვენ, როგორც სიმართლის  
„ძებნაში“ თავდადებულ პირს, ასე ლაპარაკი არ  
შეგშვენით: (!) კაცს ქურდობას სწამებთ და არ  
გინდათ უკანასკნელათ მისი თხოვნა აღასრულოთ,  
რომელიც სამედიატორო სასამართლოს მოწვევაში  
გამოიხატებოდა, როგორც მიღებულია — სიკვდილს  
რომ კაცს გადუწყვეტენ უკანასკნელი სიტყვა მას  
ეკუთვნის და თქვენ, ბ.-ნებო, დაეკითხეთ თუ არა  
თ-ძეს გამოეთქვა უკანასკნელად თავისი სურვილი?  
თქვენ ვალდებული ხართ შეუსრულოთ უკანასკნე-  
ლი მოთხოვნილება თ-ძეს და მოიწვოთ სამედი-  
ატორო **ნეიტრალური** სასამართლო.

სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილე-  
ბას თ-ძე უეჭველად დაექვემდებარება და „ეს სა-  
სამართლო სამართალში გაწვეული“ არ იქმნება,  
როგორც თქვენ ჩმახავთ ამას...

ბ.-ნო პლებეი — ჩვენც გავგაგებინეთ თუ რით  
ხელმძღვანელობდა კომისია და იჩეიკები თ-ძის  
საქმის გარჩევაში?

ერთ რაიონულ იჩეიკის რეზოლიუციით თ-ძეს  
არიფერი ეხება, იგი მართალი გამოდის და ამასვე  
ამბობს რამდენიმე მოწმე და ჩვენ ექვი გვებადება  
თქვენ „საბუთების“ კეშმარიტებაზე.

ამიტომ თ-ძეს თავი უნდა დაანებოთ მანამდის,  
სანამ არ იქნება ეს საქმე სამედიატორო სასამართ-  
ლოს მიერ განხილული და მერე სასამართლოს  
დადგენილების თანახმად შეგიძლიათ იმოქმედოთ  
და მანამდის „საალყო წესები“ თ-ძეს უნდა მოხსნათ.

ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენთან კამათი ამი-  
ტყდა, მაგრამ საქმის უსამართლო გარჩევამ მაიძუ-  
ლა კამათი. ამიერიდგან ვსაობ თქვენთან, პოლემი-  
კას და მოვითხოვთ სამედიატორო სასამართლოს;  
დაასახელეთ თქვენი რწმუნებულნი და ჩვენ ჩვენ-  
სას დავასახელებთ. ტყუილა უბრალოდ ლანძღვა-  
გინებას საქმის გაკეთება სჯობს და საქმეს მართო  
სამედიატორო სამართალი თუ მოუვლის.

ქარხნის მუშა.





მოჰყავთ მესია, იერუსალიმს ლიტონია აქეთ, ხალხი განგაშებს,  
მოჰყავთ მესია, „ანათ“ ცნობილი და მკვდარსა „აზრსა“ იგი აღადგენს.

**წერილი რედაქციის მიმართ**

მტრე მასუხი „ეშმაკეთს“

ბ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს მცირე პასუხს; ამას წინედ „ეშმაკის მათრახის“ ავსულს, რომელიც, თურმე განუჩივლად სწორ-მართლისა, ყველას უსირცხვილოდ სწიხლავს,—ჩემკენაც იერიშით წამოსულა, მაგრამ მე, როგორც შორს მყოფს ეშმაკთა ბუნდიდან, ვერ მომალწივს და ვერც როდისმე მომალწივევ... ამიტომ უმორჩილესად ბთხოვთ ნება მიბოძოთ „ნიშადურის“ შემწეობით ეშმაკეთს შევეუთვალო ზოგიერთი გამოსადეგი და საჭირო რჩევა-დარიგებანი: 1 ხელის აღება ყოველივე ბოროტ სიტყვასა და საქმეზე; 2. არ გადასხვაფერება სიმართლისა; 3. არ შეურაცხოვა პიროვნებისა; 4. სიარული სწორე გზით; 5. გამსჭვალვა საზოგადოებურის აზრით და არა პირად ანგარიშებით და კინკლაობით და 6. უმთავრესად შეგნება და შემეცნება მოვალეობისა ქვეყნისა და ეროვნებისადმი, რადგანაც „ხეხილში შტოებით მრავლდება, მხოლოდ სახელი და პატივსენება კაცისა-კი წინაპართაგან მომდინარეობს. აი, თუ ყველა ამას მტკიცედ და წმინდად აასრულებთ, მაშინ შექველთ სრულიად განიკურნებით იმ მრავალ ცოდვებისაგან, რომელნიც ჯოჯოხეთის კერძათა გზდით, თორემ, ერთი ბრძენისა არ იყოს, „სიკვდილი უფრო საკეთილოა აღამიანისთვის, ვიდრე ცოდვით დამძიმება სულისა“ და თქვენც ნუ ჩაღიხართ ცოდვებს.

განჯელი ოდიშარია (იგივე კ. მარტვიელი).

**გ ა მ ო ც ა ნ ა**

ქკუით ბრძენი—არ რეგენი,  
ენა ფლიდი—მოსარიდი,  
ჩინოენიკად წოდებული  
ფოსტაშია დასკუპული;  
გაფიცვებსა უღალატა  
ჩინ-ტემლაკიც მიიმატა,  
— არა რცხვენის დიდ-ცხვირასა,  
რომ გადადის მსწრაფლ ყირასა!...  
ტოლ-მეგობრებს, როგორც მელა,  
ეტმანება ნელა-ნელა,  
მაგრამ მაინც არ იძმობენ,  
რადგან მოღალატეთ სცნობენ.

ნელიკო.

რედ-გამომცემელი ვალერიან გუნია.